ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 3

ქ.თბილისი 27.04.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ფილოლოგი, საბჭოს მდივანი.
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი, სხდომის მდივანი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ლალი ხვედელიძე - შპს მახინჯაურის ლიცეუმის დირექტორი;
მზევინარ ძირკვაძე - შპს მახინჯაურის ლიცეუმის სწავლების მენეჯერი;
მერაბ ჭოხონელიძე - შპს №1 სკოლის დირექტორის მოადგილე;
ეკატერინე თორთლაძე - ა(ა)იპ თბილისის ვალდორფის თავისუფალი სკოლა-ბაღის საქმეთა მმართველი;
ნანა ჯავაშვილი - ა(ა)იპ თბილისის ვალდორფის თავისუფალი სკოლა-ბაღის სასწავლო პროცესის კოორდინატორი;
ნათია ქაჯაია - ა(ა)იპ თბილისის ვალდორფის თავისუფალი სკოლა-ბაღის იურისტი.
სპირიდონ აბულაძე - სხალთის მთავარეპისკოპოსი - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის დირექტორი;
გივი ჭუმბურიძე - ა(ა)პ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის დირექტორის მოადგილე;
თემურ ტუნაძე - ა(ა)პ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)პ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის დირექტორის თანაშემწე.
სვიმონ ცაკაშვილი - სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის წარმომადგენელი

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
ნინო ბალანჩივაძე;
ნოდარ ანგურიძე;
თეა შაყულაშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი;
მარიამ ხუციშვილი;
ნოდარ ანგურიძე;
მაკა ტუკვაძე;

სხვა დამსწრე პირები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი (მოწვეული პირი სათათბირო ხმის უფლებით)

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:23 საათზე.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე, შესაბამისად, შესთავაზა საბჭოს, საკუთარი შემადგენლობიდან დაესახელებინა წევრი, რომელიც გაუძღვებოდა სხდომას. საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს რევაზ აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს „მახინჯაურის ლიცეუმის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს №1 სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა ან საბჭოს რომელიმე წევრს დღის წესრიგით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდა თვითაცილება. შუამდგომლობა არ ყოფილა, შესაბამისად, დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს მახინჯაურის ლიცეუმის საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს გარდა, ასევე ეხებოდა პროფესიულ განათლებას, საბჭოზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული იყო პროფესიული განათლების ექსპერტი, შორენა ჯაფარიძე.

1. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ფეტვიაშვილმა წარადგინა. მან განმარტა, რომ მონიტორინგის საფუძველი იყო ცენტრში შემოსული საჩივარი. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ სკოლაში ადგილი ჰქონდა პედაგოგის მხრიდან მოსწავლის „ამოჩემებას, მის მიზანმიმართულ დევნას და მოთხოვნას სკოლიდან გადაყვანაზე." წერილის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

მასწავლებელმა შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ საკმაოდ მწვავე უარყოფითი შეფასება მშობელს შეატყობინა თავად მოსწავლის, სხვა მოსწავლეებისა და მათი მშობლების დასწრებით;

მშობელს სკოლა ურჩევდა ბავშვის სხვა კერძო სკოლაში გადაყვანას , მაგრამ არა საჯაროში, რადგან თვლიდნენ, რომ „ვერ დაძლევდა" ესგ-ით გათვალისწინებულ პროგრამას.

სკოლის განსხვავებული მიდგომები და, შესაძლოა, ესგ-თან განსხვავებული პროგრამა მოსწავლეებს უზღუდავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის საშუალებას.

ვალდორფის სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით შევისწავლილ იქნა დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები. ექსპერტის თქმით, სკოლას არ ჰყავს ერთპიროვნული ხელმძღვანელი, მოქმედებს თვითმმართველობის სისტემა, სკოლას მართავენ კოლეგიური ორგანოები – გაძღოლის კონფერენცია და გამგეობა, მათ შორის გადანაწილებულია კომპეტენცია და პასუხისმგებლობა.

ვალდორფის სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით, შესწავლილ იქნა დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები. სამივე საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან, რომელთა შორის ერთი მშობელი აღმოჩნდა სკოლის კურსდამთავრებული, სამივე საფეხურის მოსწავლეებთან (V-XII კლასები) და დაწესებულების წარმომადგენლებთან. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები სკოლაში სიხარულით დადიოდნენ, მშობლებიც და მოსწავლეებიც სკოლისა და მისი აკადემიური ფასეულობების შესახებ საუბრობდნენ ენთუზიაზმითა და სიამაყით; სკოლაში პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს; მოსწავლეები და მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულები სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არსებობდა თანასწორუფლებიანი დამოკიდებულება.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას მუშაობის განსხვავებული სტილი ჰქონდა და დაფიქსირდა გარკვეული უზუსტობები:

საგანმანათლებლო პროგრამის რესურსთან მიმართებით:

სკოლის საათობრივი ბადე არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეს. კერძოდ:

- დაწყებით საფეხურზე არ ისწავლება ისტ-ი, რაც, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება. თუმცა ინფორმატიკა ისწავლება მე-9 კლასიდან მე-11 ჩათვლით.

ინგლისური ენის შესწავლა იწყება მე-6 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით. უცხოური ენებიდან პირველი უცხოური ენაა გერმანული ენა (I-XII კლასებში). I-IX კლასებში რუსული ენა ისწავლება როგორც მეორე უცხოური ენა, ხოლო ინგლისურის სწავლება იწყება მე-6 კლასიდან.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით „მუხლი 14/3 ...ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი კერძო სკოლაში შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას **უფლება არა აქვს საფეხურის ფარგლებში საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი. გამონაკლისი კერძო სკოლებისთვის დაიშვება სამინისტროსთან შეთანხმებით“.**

დაწესებულებამ წარმოადგინა ორი წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან. პირველში ვკითხულობთ „წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადით შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმით“ განსაზღვრული შედეგების მიღწევა“. მეორე წერილში დაზუსტებულია, რომ „ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა არ სცილდება კერძო სკოლებისთვის დასაშვებ სასწავლო პროცესის მოდიფიკაციის ფარგლებს და ამასთან არ მოდის წინააღმდეგობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ამასთან ვაზუსტებთ, რომ სწორედ კონკრეტულ სკოლას ეკისრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესზე და მის ხარისხზე პასუხისმგებლობა“.

ექსპერტთა აზრით საფეხურის ფარგლებში საგნის ამოღებით ვერ სრულდება დაწყებითი საფეხურის მიზნები და ამოცანები და ირღვევა მუხლი 21/2 , რომლის თანახმად „დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას“.

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ბადით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე 12 წლის განმავლობაში ისწავლის ვალდორფის სკოლა-ბაღში.

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სასკოლო გეგმაში განსაზღვრულია

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და დამატებითი მომსახურება. ისწავლება ვალდორფის პედაგოგიკისთვის დამახასიათებელი საგნები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდების თვითშემოქმედებისა და ესთეტიკური აღზრდისათვის სასარგებლო პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ზოგიერთი საგანი ინტეგრირებულია ეპოქის გაკვეთილზე. თითოეული საგნის ეპოქა გრძელდება 3-4 კვირა. საათობრივ ბადეში წარმოდგენილია თეატრის, პრაქტიკის და არქიტექტორული მოგზაურობის კურსები, ხელგარჯილობა, მებაღეობა, ლონოგრავიურა, კარტონაჟი (წიგნის აკინძვა), სპილენძის თეგვა და

სხვ. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ევრითმიის გაკვეთილებს, სკოლის შენობაში ევრითმიის გაკვეთილებისთვის და ევრითმიით მკურნალობისთვის განკუთვნილია სპეციალური სივრცეები და სავარჯიშო დარბაზები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით **განსაზღვრულია შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების** მიხედვით. სკოლაში გამოყენებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო გრიფირებულია. სასკოლო სასწავლო გეგმაში და საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილია სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად.

ინკლუზიური განათლება

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია პროგრამა ინკლუზიურ განათლებაში და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. შემუშავებულია სპეციალური პროგრამა, რომელშიც გაწერილია მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობების გრაფიკი, როგორც ინდივიდუალური შეხვედრების, ასევე დამატებითი დახმარებისთვის. შემუშავებულია ინდივიდუალური პროგრამები იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც საჭიროებენ სხვებთან შედარებით მეტ დროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ ჩვევებისა და ცოდნის ასათვისებლად.

მოსწავლის შეფასება

სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, ვადები და პირობები გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა და სხვ. ამას გარდა წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები კომპონენტების მიხედვით.

სადამრიგებლო პროგრამა

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც აღწერილია სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები და ძირითადი მიმართულებები, თუმცა არ არის გათვალისწნებული მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ბ.გ)მეწარმეობის უნარების განვითარება, რომელიც დაემატა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 7 სექტემბერის ბრძანების №118/ნ თანახმად. ამას გარდა სკოლის მიერ წარმოდგენილ სადამრიგებლო გეგმები იდენტურია, არ ჩანს, რა ღონისძიებებია დაგეგმილი კლასების მიხედვით ესგ-ით გათვალისწინებული მიმართულებების განსახორციელებლად.

სასკოლო სასწავლო გეგმა სრულად ვერ პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს (კერძოდ, დაწყებითი საფეხურზე), რაც არ იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენისა და განვითარების საშუალებას.

სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, შემუშავებული შეფასების ზოგადი კრიტერიუმები.

I-IV კლასებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V-XII კლასებში სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, თუმცა დასადასტურებლად კონკრეტული რუბრიკები და ორივე ტიპის შეფასების მაგალითებ ი მასწავლებლებმა ვერ წარმოადგინეს.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ჟურნალების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ პარალელურ კლასებში (მე-8ა და მე-8ბ) პირველი სემესტრის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს, ერთ კლასში ჩატარდა 2 და მე-2- ში 3 შემაჯამებელი დავალება.

არ არის წარმოდგენილი ესგ-ს მოთხოვნის თანახმად შემაჯამებელი დავალების შესაბამისი ამსახველი დოკუმენტაცია. კერძოდ, შემაჯამებელზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკა, სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

თითოეული საკლასო ოთახი დაახლოებით 40-50 კვ.მ-საა და აღჭურვილია ორადგილიანი და ინდივიდუალური მერხებით, დაფებითა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების შესაბამისი ინვენტარით: დაწესებულებას ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით აქვს სხვადასხვა კატეგორიის **244 ორადგილიანი და 169 ერთადგილიანი მერხი.** ისევე, როგორც ერთადგილიან მერხებთან, ორადგილიან მერხებთანაც დგას ინდივიდუალური სკამი. სკამების რაოდენობა შეადგენს 513 ერთეულს. გამომდინარე იქიდან, რომ „ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 04 ოქტომბრის N295 გადაწყვეტილებით მოსწავლეების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 377-ით, სკოლას ინდივიდუალური მერხების რაოდენობით არ აქვს მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისათვის მზაობა. საკლასო ოთახებში განთავსებულია პროგრამით განსაზღვრული მეთოდიკის შესაბამისი სხვადასხვა ზომისა და ფორმის დაფები. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების საგნების ოთახები აღჭურვილია სხვადასხვა საშუალებებით. მაგ.: საკერავი მანქანებით, საქსოვი და საკერავი ძაფებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, სახელოსნოს სხვადასხვა ტექნიკითა და იარაღებით.

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს „ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის 2012 წლის 27 ივლისის N5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულება. დებულების შინაარსიდან გამომდინარე, სივრცე ემსახურება მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებას. წიგნები დალაგებულია თემატურად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოები. წიგნადი ფონდი გაფორმებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. წიგნადი ფონდის აღრიცხვა მიმდინარეობს Excel-ის ცხრილის გამოყენებით. არ არის წიგნადი ფოდნის რეგისტრაციის ჟურნალი და ანბანური საძიებო კატალოგი.

„ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის გამგეობის 2012 წლის 24 დეკემბრის N31 გადაწყვეტილებით დამტკიცებული. 10:00-18:00 საათამდე.

გამოყოფილია სამკითხველო სივრცე, სადაც დგას ინტერნეტით უზრნველყოფილი 2 კომპიუტერი.

სკოლას აქვს ინტერნეტით უზრუნველყოფილი 23 კომპიუტერი. აღნიშნული კომპიუტერებიდან 16 განთავსებულია კომპიუტერების ოთახში. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლის ვებ.გვერდი http://waldorfschule.ge/ განახლების პროცესში იყო. ვიზიტის და დასკვნის მომზადების პერიოდში ვერ ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2015-2016 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის „სასწავლო საგნების ჩამონათვალი პედაგოგების მითითებით“ ნაწილში მითითებული მასწავლებლების უმეტესობას აქვს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაცია, თუმცა, შემდეგ მასწავლებლებს: მიხეილ გიორგაშვილს, ეთერ ხოშტარიას, თამარ ბლუაშილს, თამარ შაშიაშვილს, ეკა ჭეიშვილს, მანანა ბუხრაშვილს, დოდო კერესელიძეს, ხათუნა ჭეიშვილს, მარიამ ვეშაგურიძესა და ეთერ ცხაკაიას არ უდასტურდებათ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია.

2015-2016 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ზემოთხსენებული ნაწილის მიხედვით:

მიხეილ გიორგაშვილი დაწყებითი საფეხურის I კლასში ასწავლის შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, ფორმების ხატვა, ბუნებისმეტყველება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასა და სპორტს. მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა შემდეგი: მიხეილ გიორგაშვილი ინჟინერ-სისტემოტექნიკოსის კვალიფიკაციისაა. 2015 წლის 01 სექტემბერს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს „კლასის მასწავლებლის“ თანამდებობაზე. შტუტგარტის თავისუფალი უმაღლესი სკოლის სწავლის დამადასტურებელი მოწმობის მიხედვით, 2000 წლის სექტემბრიდან 2001 წლის ივნისის ჩათვლით, შტუტგარტის თავისუფალ უმაღლეს სკოლაში გავლილი აქვს საგანმანათლებლო კურსი მასწავლებლის პროგრამით ვალდორფის/რუდოლფ შტაინერის სახელობის სკოლებისათვის. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით „მეთოდურ-დიდაქტიკური სემინარებითა და სავარჯიშოებით მოხდა კლასისა და საგნის მასწავლებლის, კერძოდ ფიზკულტურის (1-3) მასწავლებლის მომზადება. ამავე დოკუმენტის მიხედვით, გავლილი აქვს ხელოვნების კურსები: თხრობა, მუსიკა, მეტყველების ხელოვნება, ევრითმია, ძერწვა და ხატვა. სსიპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის 196-ე საჯარო სკოლის მიერ 2010 წლის 10 აგვისტოს გაცემული ცნობის მიხედვით, 2001 წლიდან 2010 წლამდე აღნიშნულ სკოლაში იყო კლასის მასწავლებელი და ასწავლიდა შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია, სახვითი ხელოვნება და სპორტი. **მასწავლებელს არ უდასტურდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და სპორტის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია;**

ეთერ ხოშტარია დაწყებითი საფეხურის II კლასში ასწავლის შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფორმების ხატვა,ბუნებისმეტყველება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, რუსული ენა. მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა შემდეგი: ეთერ ხოშტარიას მინიჭებული აქვს ფილოლოგის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია. სასერტიფიკატო გამოცდის საფუძველზე მინიჭებული აქვს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობის უფლება. აქვს ხალხური რეწვის სპეციალისტის კვალიფიკაცია. 2015 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს „კლასის და რუსული ენის მასწავლებლის“ თანამდებობაზე. **მასწავლებელს არ უდასტურდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების: მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია;**

თამარ შაშიაშვილი დაწყებითი საფეხურის III კლასში ასწავლის შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფომრების ხატვა, ბუნებისმეტყველება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა შემდეგი: თამარ შაშიაშვილს მინიჭებული აქვს ინჟინერ მშენებლის კვალიფიკაცია. სასერტიფიკატო გამოცდის საფუძველზე

მინიჭებული აქვს დაწყებითი საფეხურის (I-IV) მასწავლებლობის უფლება. 2015 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს „კლასის მასწავლებლის“ თანამდებობაზე. **მასწავლებელს არ უდასტურდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია;**

ეკა ჭეიშვილი დაწყებითი საფეხურის V კლასში ასწავლის შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფომრების ხატვა, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა შემდეგი: ეკა ჭეიშვილს მინიჭებული აქვს ბიოლოგის, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლობის კვალიფიკაცია. CV-ის მიხედვით, 1996 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლაში კლასის და სპორტის მასწავლებლად. შტუტგარტის დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომის მიხედვით, 1995 წლის სექტემბრიდან 1996 წლის ივლისამდე გავლილი აქვს ვალდროფის სკოლების/რუდოლფ შტაინერის სკოლების მასწავლებლის ერთწლიანი საგანამანთლებლო კურსი და მინიჭებული აქვს კლასის მასწავლებლის კვალიფიკაცია. 2015 წლის 20 აგვისტოს გაფორებული აქვს ხელშეკრულება „კლასის მასწავლებლის თანამდებობაზე“. **მასწავლებელს არ უდასტურდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გეოგრაფია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;**

დოდო კერესელიძე საბაზო საფეხურის VII კლასში ასწავლის შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა შემდეგი: დოდო კერესელიძეს მინიჭებული აქვს ბიოლოგის, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. **მასწავლებელს არ უდასტურდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.**

ხათუნა ჭეიშვილი საბაზო საფეხურის VIII კლასში ასწავლის შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ისტორია, გეოგრაფია. მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა შემდეგი: ხათუნა ჭეიშვილს მინიჭებული აქვს ინჟინერ ქიმიკოს ტექნოლოგის კვალიფიკაცია. სსიპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის 196-ე საჯარო სკოლის მიერ 2010 წლის 10 აგვისტოს გაცემული ცნობის მიხედვით, ხათუნა ჭეიშვილი 1997 წლიდან 2010 წლამდე აღნიშნულ იყო კლასის მასწავლებელი და ასწავლიდა შემდეგ საგნებს: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სპორტი, ხელგარჯილობა. შტუტგარტის დამოუკიდებელი უმღლესი სკოლის მიერ გაცემული სასწავლო ბარათის მიხედვით 1998 წლის სექტემბრიდან 1999 წლის ივლისამდე მონაწილეობა მიიღო ვალდორფის სკოლის/რუდოლფ შტაინერის სკოლის მასწავლებელთა ერთწლიან საგანმანათლებლო კურსში და მიიღო კლასის მასწავლებლისა და სპორტის (1-4) მასწავლებლის წოდება;

ეთერ ცხაკაია ასწავლის რუსულ ენას. პირადი საქმის შესწავლით დადგინდა შემდეგი: ეთერ ცხაკაიას მინიჭებული აქვს ფილოლოგის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია. სსიპ - თბილისის თავისუფალი ვალდროფის 196-ე საჯარო სკოლის მიერ 2010 წლის 10 აგვისტოს გაცემული ცნობის მიხედვით, 2006 წლიდან 2010 წლამდე ასწავლიდა რუსულ ენას. 2015 წლის 20 აგვისტოს გაფორემბულია ხელშეკრულება „რუსული ენის მასწავლებლის თანამდებობაზე“.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, ვალდორფის პედაგოგიკა ითვალისწინებს „კლასის მასწავლებლის“ ინსტიტუტს, რომელიც კონკრეტულ კლასში რამდენი საგნის სწავლებას

უზრუნველყოფს. თუმცა, კანონმდებლობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად მასწავლებლების გარკვეული ნაწილი გადის სასერიტიფიკატო გამოცდაზე, ნაწილს მიმდინარე წელს აქვს დაგეგმილი".

სხდომის თავმჯდომარე, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა წინა ავტორიზაციის დროს თუ ჰქონდა პერსონალს დადასტურებული კვალიფიკაცია. ექსპერტმა უპასუხა, რომ პირველ ვიზიტზეც იგივე ხარვეზი იყო დაფიქსირებული მასწავლებლებთან მიმართებით, თუმცა სერტიფიცირების პროცესი ახალი დაწყებული იყო და სულ სამ საგანს მოიცავდა - ქართულს, მათემატიკასა და უცხო ენას. მისი თქმით, სწორედ იმ პირობით მიენიჭა სკოლას ავტორიზაცია, რომ რეავტორიზაციის დროს მასწავლებლებს უკვე ჩაბარებული ექნებოდათ გამოცდები, რითაც დაადასტურებდნენ კვალიფიკაციის შესაბამისობას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ჩართული იყო თუ არა სკოლა სქემაში. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 30 დეკემბერს მათ ინდივიდუალური სქემა წარადგინეს და ელოდებოდნენ პასუხს.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ ვინც არ იყო ჩართული სქემაში, სპეციალური კომისია შეისწავლიდა მათ საკითხს, თუმცა ჯერ არ იყო პროცესი დასრულებული.

საბჭოს წევრმა, თამარ ფხალაძემ ექსპერტს კითხვით მიმართა, რას გულისხმობდა მოსწავლის მხოლოდ ფასიან სკოლაში გადაყვანაში. ნინო ფეტვიაშვილმა უპასუხა, რომ ეს იყო ციტირება წერილიდან, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოსწავლე პროგრამას ვერ დაძლევდა და საჭირო გახდებოდა მისი გადაყვანა, რადგან ამოღებულია 2 საგანი, რაც მოსწავლეს დაბრკოლებას უქმნიდა. ანუ საჯარო სკოლაში გადასვლის შეზღუდვა ექნებოდა მოსწავლეს, რადგან მე-5 მე-6 კლასებში ამოღებულია ისტ-ი.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა ამ გადაწყვეტილების საფუძვლით, თუ რატომ გადაიტანეს ისტ-ის საგნები მეცხრე კლასში, როდესაც პირველი კლასიდან ისწავლება სკოლებში, მათემატიკასთან შეთავსებით, შემოტანილი იყო ბუკები, თამაშები. მან აღნიშნა, რომ ესმოდა განსხვავებული მიდგომების, თუმცა აინტერესებდა რა იყო მიზეზი საგნის მეცხრე კლასში გადატანის, როდესაც კონსტიტუციით არის გათვალისწინებული სავალდებულო განათლება საბაზო საფეხურის ჩათვლით.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჩივარი, რომლის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ვიზიტით სკოლაში მათთვის უცნაური იყო, რადგან განმცხადებელი წარმოადგენდა გარკვეული შეფერხების მქონე პიროვნებას. მან აღნიშნა, რომ 21 წლის განმავლობაში არსებობს სკოლა და ჰყავთ შშმ მოსწავლეები თუმცა პრობლემა მაშინ იჩენს თავს, როდესაც მშობელი არ არის მზად დაინახოს ჩამორჩენები. მასწავლებელი ურჩევდა გარკვეული ტიპის დახმარებას, ხოლო მშობელი არ იყო მზად ეღიარებინა საკუთარი შვილის პრობლემა. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავს სიტუაციას ხშირად აწყდებოდნენ. სკოლას არ ურჩევია მშობლისთვის ბავშვის გადაყვანა, თუმცა მან ასეთი ინტერპრეტაცია მისცა მასწავლებლის ნათქვამს და არ მიიღო მისი რჩევები. მან განაცხადა, რომ სკოლა მუშაობდა მშობლებთან ურთიერთობის საფუძველზე და ჩართულობით, ამ შემთხვევაში კი თანამშრომლობა ვერ შედგა.

მან დაამატა, რომ დაწესებულება წარმოადგენდა ვალდორფის კავშირის წევრს, რის გამოც, გარკვეული ვალდებულებები ჰქონდა აღებული. მათი პოლიტიკის მიხედვით, კომპიუტერი პატარა ასაკში ბავშვისთვის საზიანოა. ამის შესახებ მუდმივად აქვთ კომუნიკაცია მშობლებმა და ისინი თავის მხრივ ინფორმირებული არიან ამ მიდგომის შესახებ. შესაბამისად, პრობლემა არ იქმნება, რადგან მშობელმა წინასწარ იცის სკოლის გადაწყვეტილება. მან აღნიშნა, რომ ოჯახებში

ისეთი დოზით აქვთ ბავშვებს კომპიუტერთან შეხება, რომ ისტის პრობლემა არ შეექმნებოდა არავის. ამის შესახებ სკოლას თანხმობა ჰქონდა სამინისტროსგან. ავტორიზაცია სკოლამ ამ სქემით გაიარა და 5-წლიანი ვადა ჯერ არ იყო გასული. ასევე, შეთანხმებული იყო სკოლის მიდგომები სამინისტროსთან.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო სკოლის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებდა სრული ციკლის გავლას საბოლოო შედეგის მისაღებად. თუ სამინისტროსგან არსებობდა თანხმობა, მის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა მასწავლებელთა ცენტრი, რომლის კომპეტენცია მისთვის საკმარისი იყო. მან აღნიშნა, რომ არსებობდა განსხავებული ქეისები, მაგრამ ამ ეტაპზე, ავტორიზაციის არსებული სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც მოქმდებდა საბჭო, წარმოადგენდა ნორმატიულ საფუძველს და გემოვნების მიხედვით ვერ მიუდგებოდნენ საკითხის განხილვას. შესაბამისად, მოუწოდა სკოლის წარმომადგენლებს მაქსიმალურად თვითონაც ყოფილიყვნენ მობილიზებული, დაეკმაყოფილებინათ არსებული სტანდარტების მოთხოვნა, მომდევნო ავტორიზაციის დროს რომელიც 2017 წელს უწევს სკოლას.

რევაზ აფხაზავა ასევე დაინტერესდა იმ მოსწავლით, ვინც საჩივარი შეიტანა ცენტრში, მან სკოლის წარმომადგენლებს ჰკითხა, რითი ადასტურებდნენ იმას, რომ ბავშვს აღენიშნებოდა გარკვეული სახის შეფერხება დაკვირვებით, თუ ჰქონდათ რაიმე ტიპის მტკიცებულება.

სკოლის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ დოკუმენტაცია არ ჰქონდათ ამის შესახებ.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო სკოლის პოზიცია, თუმცა საბაზო საფეხურის მიმართ წაყენებული მოთხოვნების მიხედვით სახელმწიფოს მხრიდან, ვერ გაიზიარებდა ამ მიდგომას რადგან მოსწავლე ისტის საგნის ამოღების გამო იძულებული ხდებოდა ბოლომდე დარჩენილიყო სკოლაში. მისთვის გაუგებარი იყო რატომ მეცხრე კლასიდან და არა მაგალითად 7,8, 9- ში.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში ყველაფერი ასაკთან შესაბამისობაში იყო მოყვანილი, გააზრებული მოსწავლის უნარები, საჭიროებები, რეალური შესაძლებლობები და რისი მიღება შეუძლია დაზარალების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ სკოლა ხელმძღვანელობდა პედაგოგიური სტანდარტებით, მაგრამ პედაგოგიკის მიზანს სწორედ რეალურ სამყაროში ცხოვრებისთვის მომზადება წარმოადგენს, შესაბამისად, თუ იცვლებოდა სამყარო, პედაგოგიკის სტანდარტებიც შეიძლება გადასახედი გამხდარიყო, სამყაროს განვითარებასთან ერთად. რათა მოსწავლეები მორგებული იყვნენ თანამედროვეობას და ჰქონდეთ ინსტრუმენტები, როგორ გამოიყენონ სხვადასხვა საშუალება საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპიუტერის მოხმარება არ წარმოადგენდა სათამაშოს, მეცხრე კლასიდან იწყებოდა მისი სწავლება რაც გულისხმობდა მისი აგებულების დეტალური მოდელის შესწავლას, რადგან სკოლის პრინციპს წარმოადგენს ის, რომ ჯერ აგებულება ნახოს, შემდეგ მოიხმაროს ნივთი დანიშნულებისამებრ.

რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენლებს მოუწოდა მომზადებულიყვნენ რეავტორიზაციისთვის და მოეყვანათ მდგომარეობა სტანდარტების შესაბამისად.

სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გარკვეული ვალდებულებები ვალდორფის სკოლების კავშირის მიმართაც ჰქონდათ, მაგალითად, კონკრეტულ მეთოდებს ვერ დაარღვევდნენ.

რევაზ აფხაზავამ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიუხედავად მისი პირადი სიმპათიისა, ვალდორფთან დადებული ხელშეკრულება ვერ იქნებოდა სახელმწიფოს მოთხოვნაზე უზენაესი და გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო აფინანსებს ვაუჩერით მოსწავლეს, დაფინანსება ვრცელდება მათზე, ვინც დადგენილ მოთხოვნებსა და სტანდარტებს იცავს.

სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონში დაშვებული იყო გამონაკლისები სამინისტროსთან შეთანხმებით.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ შეთანხმების წერილი თარიღდებოდა 2012 წლით, მას შემდეგ შესული იყო მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება, შესაბამისად საჭირო გახდებოდა ახალი შეთანხმება.

საბჭოს წევრებმა სკოლის წარმომადგენლებს მოუწოდეს 2017 წლისთვის, ანუ რეავტორიზაციის დროს მოეყვანათ შესაბამისობაში მოთხოვნებთან დოკუმენტაცია.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პერმანენტულად ხდებოდა მშობლებთან გასაუბრება, ცალცალკე ხვდებოდნენ თითოეულ მათგანს, საინფორმაციო კრებებს ატარებდნენ და ყველა მშობელი ინფორმირებული იყო სკოლის პოლიტიკის შესახებ. მან დაამატა, რომ გაცილებით მეტი ბავშვი გადმოდიოდა ვალდორფის სკოლაში და თუ გერმანული ენა არ იცოდნენ, მშობლები ამზადებდნენ ბავშვებს ენაში.

ექსპერტმა დაადასტურა სკოლის წარმომადგენლის სიტყვები, მან განაცხადა რომ მშობლებთან გასაუბრების დროს ექსპერტებმა მშობლების მოსაზრება გაიგეს ისტთან და ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, მათ კითხეს რამდენად მისაღები იყო მათთვის ის, რომ გადაყვანის შემთხვევაში მოსწავლეებს პრობლემები ექნებოდათ ინგლისურ ენასა და ისტში, მშობლებმა უპასუხეს, რომ არ აპირებდნენ ბავშვების გადაყვანას.

16:00 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 16:10 წუთზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის (საიდენტიფიკაციო კოდი:203827083) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მეუფე სპირიდონმა საბჭოს წევრებს მოკლედ უამბო დაწესებულების დაარსების ისტორია და მისია. მისი გადმოცემით, 2007 წელს სრულიად საქართველოს სამოციქული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, შუახევის რაიონ სოფელ ტაკიძეებში დაარსდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რამაც ხელი შეუწყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მართლმადიდებელი და მუსლიმი ბავშვების ინტეგრაციას. ამასთანავე, მეუფემ აღნიშნა, რომ ერთ გარემოში თანაცხოვრებით ქვეყნის ახალგაზრდობა სწავლობს ტოლერანტობას, რაც ხელს უწყობს ეროვნული, კულტურულ-მემკვიდრეობითი და ტრადიციული ღირებულებისადმი საკუთარი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.

რევაზ აფხაზავამ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს და ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარეს მოუწოდა დასკვნის წარმოდგენა.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ბალანჩივაძემ, მან აღნიშნა რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2016 წლის 14 და 16 აპრილს, რა დროსაც დაფიქსირდა შემდეგი სახის გარემოებები:

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2015-2016 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა განხილული და დამტკიცებული იყო პედაგოგიური საბჭოს მიერ (პედ.საბჭოს ოქმი № 1, 2015 წლის 07 სექტემბერი), თუმცა შინაგანაწესის მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცებულიყო სკოლის დირექტორის მიერ. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა წარმოადგინა სასკოლო-სასწავლო გეგმის კორექტირებული ვერსია. კერძოდ:

სკოლის მისია - დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მისიის სხვადასხვა ვარიანტი. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა წარმოადგინა მისიის საბოლოო ვერსია

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის განცხადებით, სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა. ამასთანავე, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევისა და სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპები. შემუშავებულია შეფასების სქემები, რუბრიკები საგნების მიხედვით და მშობლებთან მოსწავლის აკადემიური მოსწრების ინფორმირების წესები. დადგენილია სასწავლო წლის/საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი და შემუშავებულია ამ ბარიერის დაუძლევლობის შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ამასთანავე, სასკოლო სასწავლო გეგმით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, სასწავლო წლის ბოლოს VIII, IX, X კლასებში ჩატარდეს წლიური გამოცდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა საგ ანში. გარდა შემდეგი საგნებისა: სამოქალაქო განათლება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი, არჩევითი და დამატებითი საგანმანათლებლო საგნები, რაც ეწინააღმდეგება ეროვნულ სასწავლო გეგმის **23² მუხლს. კერძოდ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მართალია,** წლიური გამოცდის დანიშვნა/ არდანიშვნის საკითხს წყვეტს სკოლა, მაგრამ სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა იყოს ორწლიანი შუალედი მაინც (მაგ. თუ სკოლამ მე-7 კლასში დანიშნა წლიური გამოცდა ინგლისურ ენაში, მომდევნო ორი წლის განმავლობაში ამ საგანში ვეღარ დანიშნავს წლიურ გამოცდას). ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცი, რის შედეგადაც სკოლის დირექციამ შეცვალა გამოცდის ჩატარების წესები.

მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

ნოდარ ანგურიძემ საბჭოს სხდომაზე განაცხადა რომ იმ ტერიტორიაზე სადაც გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა მდებარეობს, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით აღნიშნულ მისამართზე სკოლას 10 წლიანი თხოვების ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოს საპატრიარქოსგან გადაცემული აქვს შენობა-ნაგებობები: N6, N8, N10, N14, N20, N22 და N11, რომელთა საერთო ფართი 5790,7 კვ.მ-ია.

ნოდარ ანგურიძის განცხადებით, სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილი თხოვების ხელშე-კრულებაში, თხოვებით გადაცემული შენობების ჩამონათვალში არ ფიქსირდებოდა N10 შენობა. ექსპერტის განცხადებით,ვიზიტის დროს მათი მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა 2016 წლის 21 მარტის შეთანხმება დამოწმებული საჯარო რეესტრისგან, (ამონაწერით საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი 24.07.03.385 დანართი N4, სამ ფურცლად) საიდანაც ჩანს, რომ თხოვებით გადაცემულ შენობების ნუსხაზე დამატებულია N10 შენობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა რომ თვითშეფასების კითხვარის ფორმა შეიცვალა, რაც თავისთავად გულისხმობდა რომ დაწესებულება ვალდებული იყო გამოეგზავნა თანდართული დოკუმენტაცია. შესაბამისად თუ დაწესებულება შეცვლიდა ვიზიტამდე კონკრეტულ დოკუმენტს, ექსპერტს ვალდებულება ეკისრებოდა დაედგინა აღნიშნული დოკუმენტის ცვლილება/შეუსაბამობა ტექნიკური ხასიათის იყო არსებითის.

საბჭოს სხდომის მიმდინარეობის დროს რევაზ აფხაზავამ დაწესებულების წარმოამდგენლებს ჰკითხა პედაგოგების საკითხი. ნინო ბალანჩივაძემ განაცხადა რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო გარემოს შექმნას ემსახურებოდა 44 პედაგოგი, მათ შორის 21 პრაქტიკოსი მასწავლებელი, 16 - უფროსი პედაგოგი, 6 პედაგოგს 17 აპრილისათვის მიენიჭებოდა პრაქტიკოს მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 1 პედაგოგი - ლოგიკის მასწავლებელი, დარეგისტრირდებოდა 21 აპრილამდე. ექსპერტის განცხადებით, მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 600 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 447860119) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

3. შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარებსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს გააცნეს დაწესებულებაში ვიზიტით მყოფმა ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და თეა შაყულაშვილმა.

ექსპერტმა აღნიშნა რომ დაწესებულება ახორციელებდა საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ასევე პროფესიულ პროგრამებს. ორივე დასკვნა დადებითი იყო დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო პრაქტიკისთვის ჰქონდა შესაბამისი ლაბორატორიები, ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფდა საწარმოო პრაქტიკის გემზე გავლას.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეების უმრავლესობა იმავდროულად იყო პროფესიული სტუდენტი, დაწესებულებას ცხრილი ისე ჰქონდა აწყობილი რომ ერთმანეთს ხელს არ უშლიდა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 370 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „მახინჯაურის ლიცეუმისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგიელბის ზღვრული რაოდენობიდან იმავდროულად პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობის 320 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „მახინჯაურის ლიცეუმს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 248417896) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

შპს „მახინჯაურის ლიცეუმს" მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 370-ით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან იმავდროულად პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

4. შპს №1 სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილ სხვა მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ცენტრისათვის ცნობილი გახდა სკოლის მიერ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბების შესახებ, მოგვიანებით კი სკოლამ წარმოადგინა განაცხადი კონტინგენტის გაზრდის თაობაზე.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიმდინარეობის შესახებ და გააცნო ექსპერტთა მიერ შედგენილი დასკვნა საბჭოს. ექსპერტის მხრიდან ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა საკუთარი სპორტული დარბაზი, ამასთან, აღნიშნული მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გასული იყო.

ექსპერტის თქმით, ასევე წარმოჩინდა, რომ დაწესებულების ერთი პედაგოგი ჩართული არ იყო მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას სხვა ხარვეზი არ ჰქონია.

საბჭო დაინტერესდა, რამ განაპირობა დაწესებულების მხრიდან მოსწავლეთა საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობის გადაჭარბება.

დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, აღნიშნული სკოლის მხრიდან განზრახ არ მომხდარა, ამასთან, აღნიშნულ გარემოებას ადგილი სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ჰქონდა, რაც გამოასწორეს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, სად ხორციელდებოდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპორტის გაკვეთილები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაკვეთილები უწყვეტ რეჟიმში ტარდებოდა იმავე მისამართზე, მხოლოდ ხელშეკრულებას ჰქონდა ვადა გასული. დაწესებულების გვერდით ასევე მდებარეობდა მერიის კუთვნილი მეორე სპორტული მოედანიც, რომელიც ასევე გამოიყენებოდა დაწესებულების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან დაფიქსირდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 700 მოსწავლემდე გაზრდის სურვილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების საკლასო ოთახები იყო მცირე მოცულობის და მხოლოდ 15 ბავშვი შეიძლებოდა თითოეულ მათგანში მოთავსებულიყო, ექსპერტის რეკომენდაცია იყო, 15 მოსწავლეზე მეტი არ გაეთავლისწინებიათ თითოეულ საკლასო ოთახში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავდნენ შენობაზე კიდევ ერთი სართულის დაშენებას, რაც მათ შესაძლებლობას მისცემდათ, დამატებით 100 მოსწავლისთვის გაეწიათ საგანმანათლებლო მომსახურება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს №1 სკოლისთვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 700 მოსწავლემდე გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 11 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შპს №1 სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 212690729) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700-ით.

5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილ სხვა მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნეს ექსპერტებმა მარიამ ხუციშვილმა და ნელი ნასყიდაშვილმა.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების რესურსებზე. წარმოჩინდა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებას არ ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისთვის აუცილებელი ლაბორატორიები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გამგეობისგან ჰქონდათ მიღებული დაპირება დახმარების შესახებ, ასევე, ჰქონდათ მცდელობა, ბანკიდან აეღოთ სესხი ლაბორატორიების შესყიდვის მიზნით, თუმცა, სესხის აღება ვერ მოხერხდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ, აუცილებლად გეგმავდნენ ლაბორატორიის შეძენას.

რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, დაწესებულების წარმომადგენლებმა მიმართეს თუ არა საპატრიარქოს და გამოთქვა ვარაუდი, რომ იყო ალბათობა, არც ხაშურის სკოლაში ყოფილიყო მოწესრიგებული სასწავლო პროცესი.

საბჭო დაინტერესდა, ქიმიურ ხელსაწყოებს თუ ფლობდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქიმიური ხელსაწყოები ჰქონდათ შეძენილი და ვინაიდან აღნიშნულ ეტაპზე არ ფლობდნენ ლაბორატორიას, სასწავლო პროცესში გამოიყენებოდა ვირტუალური ლაბორატორია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა გაეზარდათ 400 მოსწავლემდე. დაწესებულების შესაბამისი რესურსის არსებობა დაადასტურეს ექსპერტებმაც.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 მოსწავლემდე გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიზტრის 2010 წლის 11 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 443854189) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

6. ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილ სხვა მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნეს ექსპერტებმა, ნელი ნასყიდაშვილმა და მარიამ ხუციშვილმა. ექსპერტთა მხრიდან, დადებითად შეფასდა დაწესებულების რესურსი.

საბჭოს ყურადღება გაამახვილა დაწესებულების ბიბლიოთეკაზე და დაწესებულებაში სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებულ გარემოზე.

ექსპერტის თქმით, ბიბლიოთეკა იყოს განთავსებული მესამე სართულზე, სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული გარემო კი მხოლოდ პირველ სართლზე იყო შექმნილი. სამედიცინო ოთახი დაწესებულებას არ ჰქონდა, არ ჰყავდა ექიმიც. დაწესებულების თქმით, არ ჰყავდათ აყვანილი სამუშაოზე მანდატურიც, თუმცა, მისი ფუნქციები შეთავსებული ჰქონდა სხვა პირს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, იძახებდნენ ექიმს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ისაუბრეს სკოლის განვითარების გეგმებზე, აღინიშნა, რომ სამომავლოდ გეგმავდნენ სამედიცინო ოთახის მოწყობასაც. დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა სურვილი, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 600 მოსწავლით.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო სსსმ მოსწავლის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა ბიბლიოთეკით სარგებლობის მიზნით და გამოთქვა ვარაუდი, რომ ვიდრე აღნიშნული პრობლემა დაწესებულებაში არ მოგვარდებოდა, სსსმ მოსწავლე დაწესებულებას არ მიმართავდა სწავლის გასაგრძელებლად.

თავმჯდომარემ უარყოფითად შეაფასა აგრეთე ის ფაქტი, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა ექიმი. ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ პრაქტიკის თანახმად, თუ დაწესებულებას არ ჰყავდა ექიმი, მის ფუნქციებს ითავსებდა მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაციაც მოწმდებოდა ექსპერტის მიერ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 მოსწავლემდე გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის 331 მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 218082848) უარი ეთქვას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ სხდომა დასრულდა 18:30 საათზე.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
თამარ ფხალაძე